ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1926 წლის ოქტომბრის 15	№ 10. განყოფილება პირველი	ა/კ. ცენტ. აღმას. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემ.

შინაარსი:

მუხ. 714. ბამბისა, აბრეშუმისა, აბრეშუმის პარკისა, მატყლისა, ხილისა, ბოსტნეულისა და თამბაქოს საბითუმო ოპერაციებისათვის მეტრული სისტემის შემოღების შესახებ.

„ 715. სამრეწველო საწარმოთა შენობების აგების დროს წინასწარ გასაფრთხილებელი სანიტარო-სატეხნიკო ზედამხედველობის განხორციელების შესახებ.

„ 716. სახელმწიფო სამონადირეო გამოსაღების განაკვეთის შეცვლის შესახებ.

„ 717. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს დებულების მე-2 მუხლის ახალი რედაქციის შესახებ.

„ 718. ამიერკავკასიის საავტომობილო სამრეწველო-სავაჭრო საამქიზო საზ-ს ავტომობილებით მგზავრთა გადაყვანისა და სამგზავრო ბარგის გადაზიდვისათვის ტარიფის დაწესების შესახებ.

„ 719. დებულება ამიერკავკასიის საბინაო კოოპერაციის საბჭოს შესახებ.

„ 720. საფეიქრო ნაკეთობის ცალობითი გაყიდვის დროს სათანადო ტრესტების პრეისკურანტებისათვის წანამატის დარიცხვის შესახებ.

„ 721. ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „მუშათა ფაკულტეტების უკანასკნელი კურსის მსმენელთათვის სამუშაო დღის შემცირების თაობაზე“ 1926 წ. იანვრის 18-ს თარიღით გამოცემული დადგენილების გავრცელების შესახებ მუშათა ფაკულტეტების იმ სტუდენტებზე, რომელნიც ყველა ამა თუ იმ დაწესებულებასა და საწარმოში მუშაობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავალდებულო დადგენილება № 5 ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისიისა.

1926 წ. აგვისტოს 12.

714. ბამბისა, აბრეშუმისა, აბრეშუმის პარკისა, მატყლისა, ხილისა, ბოსტნეულისა და თამბაქოს საბითუმო ოპერაციებისათვის მეტრული სისტემის შემოღების შესახებ.

ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ოქტომბრის 29-ს თარიღისა და 53 №-რის დადგენილების მე-11 §-ის „გ" პუნქტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ივნისის 10-ს თარიღისა და მე-8 №-რის ოქმის მე-10 მუხ. თანახმად—ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისია ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს 1926 წ. ნოემბრის 1-დან ა/კსფსრ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო საწარმოსა და ორგანიზაციაში წონის მეტრული სისტემა ბამბისა, აბრეშუმისა, აბრეშუმის პარკისა, მატყლისა, ხილისა, ბოსტნეულისა და თამბაქოს საბითუმო ოპერაციებისათვის.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხ. აღნიშნული ყოველი საწარმო და ორგანიზაცია 1-ლი მუხლის შესასრულებლად მოვალეა ზემოაღნიშნული ვადისათვის იქონიოს ყველა სასწორი, გირი და სხვა საწონი მეტრული სისტემისა შემმოწმებელი პალატის დაღით.

3. საბითუმო ფასების გამოსახატავად დაწესებულია შემდეგი საანგარიშო მეტრული ერთეულები:

ა) ბამბისა, აბრეშუმისა, აბრეშუმის პარკისა, ბოსტნეულისა და თამბაქოსათვის 1 კილოგრამმი;

ბ) მატყლისა და ხილისათვის მეტრული ცენტნერი (100 კგრ.) და 1 კილოგრამმი.

4. გარიგების დადება ბამბასა, მატყლსა, აბრეშუმსა, აბრეშუმის პარკსა, ხილსა, ბოსტნეულსა და თამბაქოზე 1926 წ. ნოემბრის 1-დან უნდა მოხდეს მხოლოდ მეტრულ საწონით; ამასთანავე 1926 წ. ნოემბრის 1-დე ამა მუხლში ჩამოთვლილ საგნებზე დადებული ყველა გარიგება გადატანილ უნდა იქნეს მეტრულ საწონზე, რაც იმ დაწესებულებას უნდა ეცნობოს, რომელმაც რეგისტრაცია გაუკეთა და შეამოწმა ხელშეკრულება.

5. ყველა იმ სადგომში, სადაც სწარმოებს ბამბისა, მატყლისა, აბრეშუმისა, აბრეშუმის პარკისა, ხილისა, ბოსტნეულისა და თამბაქოს გაცემა ან მიღება მეტრული საწონით, თვალსაჩინო ადგილას გამოკიდულ უნდა იქნეს, არა უგვიანეს ზემოაღნიშნული ვადისა, ოფიციალური ცხრილი რუსული საწონის მეტრულ საწონზე გადატანისა.

შენიშვნა. ოფიციალურ ცხრილად ითვლება ისეთი ცხრილი, რაც დამტკიცებულია ცენტრალური მეტრული კომისიისა, ამიერკავკასიის საუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყებათაშორისო მეტრული კომისიისა ან საზომ-საწონთა მთავარი პალატის მიერ.

6. ამა დადგენილების განხორციელება დაეკისრება ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის წარმომადგენელთ, რომელნიც ა/კსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირების განსაკუთრებულ რწმუნებულებად ითვლებიან; ხოლო მეთვალყურეობა სათანადო ორგანიზაციათა და საწარმოთა მიერ ამა დადგენილების შესრულებისათვის დაეკისრება აღმასრულებელი კომიტეტების საადმინისტრაციო განგაიყოფილებათ.

7. ამა დადგენილების დარღვევა დაისჯება ა/კსფრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლით.

ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისარი **ა. ერქომაიშვილი.**

ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო
მეტრული კომისიის თავმჯდომარე პროფ. **ზავრიევი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1269 №-ში 1926 წ. სექტემბრის 5-ს.

დადგენილება № 35 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

715. სამრეწველო საწარმოთა შენობების აგების დროს წინასწარი გასაფრთხილებელი სასანიტარო-სატეხნიკო ზედამხედველობის განხორციელების შესახებ.

შრომის კანონთა კოდექსის ა/კსსრ (ფკ. კან. და განკ. კრ. 1923 წ. მე-7 №-რი, მუხ. 89) 138 მუხლის განსავითარებლად და ა/კ ფსსრ საკავშირო საბჭოს მიერ „სამრეწველო ნაგებობათა მშენებლობისა და მათი დამხმარე დაწესებულებათა შენობების პროექტების დამტკიცების წესის შესახებ" (ა/კ სსრფკ კან. და განკ. კრ. 1923 წ. მე-4 №-რი, მუხ. 43) 1922 წ, სექტემბრის 30-ს თარიღით გამოცემული დადგენილების გასაუქმებლად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ვიდრე გამოიცემოდეს დადგენილება მშენებლობის პროექტების დამტკიცების წესის შესახებ, სამრეწველო მშენებლობის ყველა პროექტის (სამრეწველო დაწესებულების შენობისა და აგრეთვე საწარმოს ტერიტორიაზე მდებარე ყველა მისი დამხმარე დაწესებულების მუშათა შენობის აგება, გადაკეთება და ხელახლად მოწყობა) საბოლოო დამტკიცება დაეკისროს ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების უმაღლეს სატეხნიკო-საალმშენებლო ორგანოებს.

2. წინა მუხლში აღნიშნული პროექტების წინასწარი განხილვისათვის იმ მხრით, თუ რამდენად შეესაბამება ეს პროექტები შრომის გიგიენისა და უშიშროების მოთხოვნილებას, რესპუბლიკანურ უმაღლეს სატეხნიკო-საალმშენებლო

ორგანოებთან მოეწყოს განსაკუთრებული კომისიები ხსენებული ორგანოების წარმომადგენელთა თავმჯდომარეობით.

3. განსაკუთრებული კომისიის შედგენილობაში შევლენ შემდეგ უწყებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენელნი: 1) რესპუბლიკანურ შრომის სახალხო კომისარიატის სატეხნიკო და სასანიტარო ზედამხედველობისა—ერთი, 2) რესპუბლიკანური ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა—ერთი, 3) დედა-ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტისა—ერთი და 4) იმ პროფესიონალური კავშირისა, რომელიც აერთიანებს უწყებული საწარმოს მუშათ—ერთი წარმომადგენელი.

4. ადმინისტრაცია, მეპატრონე ან მათი მონაცვლე პირი მოვალეა პროექტი – სათანადო დანართებით,—სამრეწველო ხასიათის ახალი შენობის აგებისათვის, ამ შენობის დამხმარე ნაგებობის (აბანო, სასადილო, საცხოვრებელი სადგომი და სხვ.) აგებისათვის, სამრეწველო საწარმოს კაპიტალური რემონტისათვის, ხელახლად მოწყობისათვის და სხვა შენობაში გადატანისათვის ნებართვის მისაღებად,—წარადგინოს რესპუბლიკის უმაღლეს სატეხნიკო-საალმშენებლო ორგანოში.

5. წესი ტრანსპორტისათვის სამრეწველო მშენებლობის პროექტების შესათანხმებლად დადგენილ უნდა იქნეს თანახმად სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა და გზათა სახალხო კომისარიატის 1924 წ. აპრილის 11-ს თარიღისა და 170/370 №-რის დადგენილებისა „შრომის ინსპექციის მიერ გზებზე განსახორციელებელი წინასწარი ზედამხედველობის შესახებ“, რომელი დადგენილებაც ამერკავკასიის ფედერაციაში შემოღებულია ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1924 წ. ივლისის 26-ს თარიღისა და 112 №-რის დადგენილებით, ხოლო სამხედრო მრეწველობის მშენებლობისათვის—თანახმად სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილების 1924 წ. სექტემბრის 26-ს თარიღისა და 408/463 №-რის ცირკულიარისა, რაც ამერკავკასიის ფედერაციაში შემოღებულია ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. იანვრის 6-ს თარიღისა და 155 №-რის ცირკულიარით „სამხედრო მრეწველობის მთავარ სამართველოს საწარმოში წინასწარი ზედამხედველობის განხორციელების განსაკუთრებული წესის შესახებ“.

6. სამეირკავკასიო მნიშნელობის სამრეწველო მშენებლობის პროექტებს რესპუბლიკანური უმაღლესი სატეხნიკო-საალმშენებლო ორგანო დაამტკიცებს ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით შრომის დაცვის სფეროში; ამასთანავე ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის შენიშვნები აღნიშნულ საკითხების შესახებ სავალდებულოა რესპუბლიკანური უმაღლესი სატეხნიკო-საალშენებლო ორგანოსათვის.

7. როგორც ახლად აგებული, ისე კაპიტალურად გადაკეთებული სამრეწველო საწარმოს და მისი დამხმარე ნაგებობის სრული ან ნაწილობრივი ექსპლოატაცია შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ამა დადგენილების მე-2 მუხ. აღნიშნული განსაკუთრებული კომისიის მიერ შედგენილ იქნება სათანადო აქტი იმის შესახებ, რომ საწარმო თუ ნაგებობა სრულიად შეესაბამება რესპუბლიკანური უმაღლესი სატეხნიკო-საალმშენებლო ორგანოს მიერ დამტკიცებულ პროექტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ამა დადგენილების შეფარდების წესი განსაზღვრულ იქნება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რასაც შეიმუშავებს ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი და დაამტკიცებს ა/კ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

9. ამა დადგენილების გამოცემისათანავე გაუქმებულია მოქმედება ამიერკავკასიის სსრ საკავშირო საბჭოს 1922 წ. სექტემბრის 30-ს თარიღისა და 36 №-რის დადგენილებისა „სამრეწველო ნაგებობათა და მათი დამხმარე დაწესებულებების მშენებლობის პროექტების დამტკიცების წესის შესახებ“ და სხვა იმ დადგენილებისა, რაც ამავე საგანზე გამოცემულია ა/კსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკებში.

10. ამა დადგენილებისა და აგრეთვე მის განსაკითარებლად გამოცემული ინსტრუქციის დარღვევისათვის როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწარმოს ადმინისტრაცია, ისე კერძო საწარმოს მეპატრონე პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული სისხლის სამართლის წესით შრომის ინსპექტორის მიერ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ლუკაშინი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წლის აგვისტოს 26. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1271 №-ში 1926 წლის სექტემბრის 8-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

716. სახელმწიფო სამონადირეო გამოსაღების განაკვეთის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—სახელმწიფო სამონადირეო გამოსაღების რაოდენობის დაწესების შესახებ—1926 წ. მარტის 30-ს თარიღით გამოცემული (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-4 №-რი, მუხ. 620) დადგენილების მე-2 მუხ. შესაცვლელად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

აღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 2. სახელმწიფო სამონადირეო გამოსაღების განაკვეთი დაწესდეს ერთი მანეთის რაოდენობით ფლიწადში“.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**
ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**
ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ **გ. ყურულოვი.**

1926 წ. სექტემბრის 13. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1278 №-ში 1926 სექტემბრის 16-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

717. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს დებულების მე-2 მუხლის ახალი რედაქციის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს დებულების მე-2 მუხლი (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 579) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭო მოეწყობა შემდეგი შედგენილობით:

ერთი წარმომადგენელი ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა, ერთი წარმომადგენელი ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, თითო წარმომადგენელი აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოებისა, ერთი წარმომადგენელი ამიერკავკასიის რკინის გზების სამმართველოსი, ორი წარმომადგენელი ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, თითო წარმომადგენელი აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოებისა, ერთი წარმომადგენელი ამიერკავკასიის რკინის გზების პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი და ერთიც საერთო წარმომადგენელი აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისა.

შენიშვნა 1. წესი და მორიგება თვითეული რესპუბლიკანური ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის მონაწილეობისა საბჭოში საერთო წარმომადგენლის სახით განისაზღვრება თვით რესპუბლიკანური ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების შეთანხმებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 2. იმ ხნის განმავლობაში, რაც სამი რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების ერთ-ერთი წარმომადგენელი ეწევა საერთო წარმომადგენლობას, ორი დანარჩენი წარმომადგენელი საბჭოში მონაწილეობას სათათბირო ხმის უფლებით მიიღებს.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ **გ. ყურულოვი.**

1926 წლის სექტემბრის 13. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1278 №-ში 1926 წლის სექტემბრის 16-ს.

დადგენილება ა/კ. რკინის გზების გაერთიანებასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

1926 წ. ივლისის 2.

718. ავტომობილებით მგზავრთა გადაყვანისა და სამგზავრო ბარგის გადაზიდვისათვის ტარიფის დაწესების შესახებ იმ რეისებზე, რომლის ექსპლოატაციასაც ა/კსფსრ ტერიტორიაზე ამიერკავკასიის საავტომობილო სავაჭრო-სამრეწველო საქციო საზოგადოება ეწევა.

დამტკიცებულია ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1926 წ. ივლისის 15-ს პლენარულ სხდომაზე.

(ოქმი № 11, პარ. 1).

ავტომობილებით მგზავრთა გადაყვანისათვის იმ რეისებზე, რომლის ექსპლოატაციასაც ა/კსფსრ ტერიტორიაზე ა/კ. საავტომობილო სავაჭრო-სამრეწველო საქციო საზოგადოება ეწევა, დაწესდება შემდეგი ტარიფი:

1.	ტფილის—ელადიკავკაზი ან წინაუკმოდ	17 მ.	კ.
2.	„ კოჯორი	2 მ. და 50	კ.
3.	„ მანგლისი (მანგლისისაკენ)	8 მ. —	კ.
4.	„ „ (უკუქცევით)	7 მ. —	კ.
5.	„ ბელიკლიუჩ (ბელიკლიუჩისაკენ	8 მ. —	კ.
6.	„ „ (უკუქცევით)	7 მ. —	კ.
7.	ბათუმი—ზელიონი მის ან წინაუკმოდ	— 75	კ.
8.	„ ხულო „	8 მ. —	კ.

№ 40 ბიბლიოთეკა

9.	ბორჯომი—ახალციხე	„	5 მ.	— კ.
10.	„ ახალქალაქი	„	11 მ.	— კ.
11.	„ აბასთუმანი—არაზინდო ან წინაუკმოდ		8 მ.	— კ.
12.	ლაგოდეხი—ზაქათალა ან წინაუკმოდ		4 მ.	— კ.
13.	„ წნორის წყალი	„	4 მ.	— კ.
14.	სუხუმ—გაგრა	„	10 მ.	— კ.
15.	„ გუდაუთი	„	4 მ.	— კ.
16.	„ ათონი	„	2 მ.	— კ.
17.	„ წებელდა	„	2 მ.	და 50 კ.
18.	„ ოჩემჩირი	„	5 მ.	— კ.
19.	ახალსენაკი—ზუგდიდი	„	3 მ.	— კ.
20.	ქუთაისი—ბაღდადი	„	2 მ.	— კ.
21.	ქუთაისი—ონი	„	12 მ.	— კ.
22.	ხაჩმაზი—ყუბა	„	2 მ.	და 75 კ.
23.	ხაჩმაზი—ყუბა—კუსაური	„	4 მ.	— კ.
24.	ევლახი—აგდამი	„	6 მ.	და 50 კ.
25.	„ ნუხა	„	7 მ.	და 50 კ.
26.	„ შუშა	„	10 მ.	და 50 კ.
27.	„ ბარდა	„	2 მ.	— კ.
28.	ლიაკი—აღდაშ	„	1 მ.	და 30 კ.
29.	ერივანი—ეჩმიაძინი	„	1 მ.	და 20 კ.
30.	ეჩმიაძინი—აშტარაკი	„	1 მ.	და 20 კ.
31.	ერევანი—ყამარლუ	„	2 მ.	და 50 კ.
32.	„ დელიჯანი	„	8 მ.	და 50 კ.
33.	„ დარაჩიჩაღ	„	5 მ.	— კ.
34.	ყარაკლისი—დელიჯანი	„	4 მ.	— კ.
35.	ყალაგერანი—სტფანავანი	„	3 მ.	— კ.
36.	დელიჯანი—აღსტაფა	„	7 მ.	და 50 კ.

პროფესიონალურ კავშირთა იმ ავადმყოფ წევრთა გადაყვანისათვის, რომელთაც სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველოს საგზაო მოწმობა ექნებათ, დაწესებულია შემდეგი ტარიფი:

1.	ბორჯომი—აბასთუმანი ან წინაუკმოდ		6 მ.	და 50 კ.
2.	ბორჯომი—არაზინდო	„	7 მ.	და 50 კ.
3.	ერივანი—დელიჯანი	„	7 მ.	— კ.

თითო ფუთი ბარგისათვის იმ ნორმის ზედმეტად, რაც 12 გირვანქის რაოდენობით თითო ბილეთზე უფასოდ გადაიზიდება, გადახდევინებულ იქნება სამგზავრო ბილეთის ფასის ერთი მეხუთედი ($^1/_5$) სასყიდელი.

ტარიფი ესე სავალდებულოა ყველასათვის და მისი შეცვლა მთლად ან ნაწილობრივ [illegible] მარტოოდენ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული დადგენილებით თვითეულ ცალკე შემთხვევაში, რაც გამოცხადებულ უნდა იქნეს სათანადო წესისამებრ.

ტარიფი ესე დაწესებულია ვადით 1927 წ. აპრილის 1-დე.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო

სატარიფო თათბირის თავმჯდომარის მაგიერ **მამედბეკოვი.**

სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი **გ. შახბუდაღოვი.**

ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1282 №-ში 1926 წ. სექტემბრის 22-ს.

დადგენილება № 36 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

719. „ამერკავკასიის საბინაო კოოპერაციის საბჭოს დებულების" დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისარრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება ამერკავკასიის საბინაო კოოპერაციის საბჭოს შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოადგილე **ნ. სოკოლსკი.**

1926 წლის სექტემბრის 2. ტფილისი-სასახლე.

დებულება ამერკავკასიის საბინაო კოოპერაციის საბჭოს შესახებ.

საბინაო-საკოოპეოაციო აღმშენებლობის საქმის ამერკავკასიის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის განვითარების საერთო გეგმასთან შეთანხმებისა და შეკავშირებისათვის, აგრეთვე იმ ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელებისათვის, რაც მიმართულ იქნება ა/კსფსრ-ში საბინაო კოოპერაციის განსავითარებლად და განსამტკიცებლად, სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე მისი ინტერესების წარმომადგენლობისათვის, რესპუბლიკანური საბინაო კოოპერაციის კავშირების მოქმედების გაერთიანებისა და შეთანხმებისათვის და მთლად ამერკავკასიის საბინაო კოოპერაციის სისტემის სფეროში წარმოებული მუშაობისა და გამოცდილების შესწავლისა და განზოგადებისათვის — არსდება ამერკავკასიის საბინაო კოოპერიციის საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საბჭოს აქვს იურიდიული პირის ყველა უფლება, აგრეთვე თავისი ბეჭედი. საბჭო განთავისუფლებულია სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან.

3. საბჭოს უფლება აქვს წარადგინოს ყველა სახელმწიფო ორგანოში, მათ შორის ა/კსფსრ უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებებშიც, შუამდგომლობა და მოხსენება.

4. ამა დებულების 1-ლ მუხლში აღნიშნული მიზნის მისაღწევად საბჭო:

ა) განიხილავს საბინაო კოოპერაციის საორგანიზაციო მშენებლობისა და სამეურნო მოქმედების ყველა საკითხს, მოითხოვს და მოისმენს რესპუბლიკანურ კავშირების მოხსენებებს საბინაო კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ და გამოიტანს თავის გადაწყვეტილებას ამ მოხსენებების გამო;

ბ) წარმომადგენლობას გაუწევს და დაიცავს საბინაო კოოპერაციის ინტერესებს ყველა საკანონმდებლო, საადმინისტრაციო, საფინანსო და სამრეწველო სახელმწიფო ორგანოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წინაშე იმ საკითხების სფეროში, რაც ა/კსფსრ საბინაო კოოპერაციას შეეხება მთლად, აგრეთვე ცალკე რესპუბლიკების საბინაო კოოპერაციის საკითხების სფეროში, სათანადო რესპუბლიკის საბინაო კოოპერაციის კავშირის სპეციალური დავალებით;

გ) დაეხმარება სახელმწიფო ხელისუფლებას საბინაო კოოპერაციის შესახები ღონისძიებების შემუშავებაში;

დ) შეაგროვებს, შეიმუშავებს და გამოაქვეყნებს ცნობებს საბინაო კოოპერაციის შესახებ;

ე) ხელშეუწყობს რესპუბლიკანურ საბინაო კოოპერაციის კავშირებ შორის შეძენილი გამოცდილების ერთმანეთში გაცვლა-გამოცვლას და საბინაო კოოპერაციის სისტემის წესიერად და ორგანიზაციულად წარმართავს;

ვ) იქონიებს სამზადისს და მოიწვევს ყრილობებსა და თათბირებს საბინაო კოოპერაციის საკითხებისათვის;

ზ) ხელშეუწყობს რესპუბლიკანურ საბინაო კოოპერაციის კავშირებისა და აგრეთვე საბინაო-საკოოპერაციო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო დაწესებულებებისა და საწარმოთა მუშაობაში სათანადო ურთიერთობისა და თანხმობის დამყარებას;

თ) გამოჰყოფს თავის მუდმივ წარმომადგენლებს ა/კ. კოოპერატიულ საბჭოში, ამიერკავკასიის მუშათა ბინების კოოპერატიული მშენებლობის დამხმარე კომიტეტში და სრულიად საკავშირო საბინაო კოოპერაციის საბჭოში:

5. საბჭოს შეადგენენ წარმომადგენელნი: ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების საბინაო კოოპერაციისა — ორი აზერბაიჯანის სსრ, ორი სომხეთის სსრ და ორიც საქართველოს სსრ, ერთი ამიერკავკასიის მუშათა ბინების კოოპერატიული მშენებლობის დამხმარე კომიტეტისა და ერთიც ამიერკავკასიის კოოპერატიული საბჭოსი.

6. ამიერკავკასიის საბინაო კოოპერაციის საბჭოს წევრნი ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკებისაგან აირჩევიან ერთი წლის ვადით საბინაო-საკოოპერაციო ორგანიზაციების რწმუნებულთა რესპუბლიკანურ კრებებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ შეუძლებელი იქნება რწმუნებულთა კრების მოწვევა, წარმომადგენელნი წარიგზავნებიან საბჭოს მორიგ სხდომებზე საბინაო კოოპერაციის რესპუბლიკანური კავშირების გამგეობის ან საბჭოების მიერ. საბჭოს წევრნი ა/კ. პროფ. კავშირთა საბჭოსაგან, ა/კ. დამხმარე კომიტეტისაგან და ა/კ. კოოპერატიულ საბჭოსაგან დაინიშნებიან პერსონალურად იმავე ვადით ამ დაწესებულებების მიერ.

7. საბჭოს ხარჯები გაწეულ იქნება საბინაო კოოპერაციის რესპუბლიკანური კავშირების მიერ შეტანილი განსაკუთრებული ყოველთვიური გადასახადებიდან. შესატანი გადასახადის რაოდენობას და შეტანის ვადას განსაზღვრავს საბჭო.

8. საბჭოს გადაწყვეტილება სავალდებულოა ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების საბინაო-საკოოპერაციო ორგანიზაციებისათვის.

9. საბჭოს სხდომები არის მორიგი და საგანგებო.

10. მორიგი სხდომა მოხდება წელიწადში სამჯერ მაინც თვით საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაზე. საბჭოს საგანგებო სხდომა მოიწვევა საბჭოს წევრთა $^1/_3$ მოთხოვნით ან საბინაო კოოპერაციის ორი რესპუბლიკანური კავშირის მოთხოვნით.

11. ყოველი საქმე საბჭოში გადასწყდება ხმის მარტივი უმეტესობით.

12. საბჭო თავისი უფლებამოსილობის ვადის განმავლობაში აირჩევს პრეზიდიუმს 3-ს წევრის შედგენილობით. პრეზიდიუმის სხდომა მოიწვევა საჭიროებისადა მიხედვით, ხოლო 2 თვეში ერთხელ მაინც.

13. საბჭოს დადგენილებათა და მინდობილობათა აღსრულება, აგრეთვე მიმდინარე მუშაობა დაეკისრება პრეზიდიუმს. კერძოდ, პრეზიდიუმს დაეკისრება:

ა) საბჭოს სხდომის მოწვევა;

ბ) საკითხების შემუშავება და საბჭოში წარსადგენად მოხსენების შედგენა;

გ) საბჭოს დადგენილებათა განხორციელება;

დ) წარმომადგენლობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წინაშე;

ე) შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვისა და ანგარიშის შედგენა;

ვ) შემოსული თანხების მიღება, შენახვა და ‖დახარჯვა დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

14. სხვადასხვაგვარი საკითხების შესამუშავებლად საბჭოსთან შეიძლება მოეწყოს კომისიები; ამ კომისიების მუშაობის წესი განისაზღვრება საბჭოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული დებულებებით.

15. საბჭოს ლიკვიდაცია მოხდება საბჭოს მიერ წევრთა $^2/_3$ ხმის უმეტესობით მიღებული და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული დადგენილებით.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1283 №-ში 1925 წლის სექტემბრის 23-ს.

დადგენილება აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. სექტემბრის 27.

720. საფეიქრო ნაკეთობის ცალობითი გაყიდვის დროს სათანადო ტრესტების პრეისკურანტებისათვის წანამატის დარიცხვის შესახებ.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ამით აუწყებს ყველა სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოს და კოოპერატიულ ორგანიზაციას, რომ ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა/წ. ივლისის 31-ს თარიღისა და 38—94 №-რის დადგენილების მე-4 მუხ. დაწესებული წანამატი საფეიქრო ნაკეთობის ცალობითი გაყიდვისათვის დაერიცხება სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულ სათანადო ტრესტების პრეის-კურანტებს.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისარი **ერქომაიშვილი.**

მოწესრიგების სამმართველოს
უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1289 №-ში 1926 წლის სექტემბრის 30-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

721. ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „მუშათა ფაკულტეტების უკანასკნელი კურსის მსმენელთათვის სამუშაო დღის შემცირების თაობაზე" 1926 წლის იანვრის 18-ს თარიღით გამოცემული დადგენილების გავრცელების შესახებ მუშათა ფაკულტეტების იმ სტუდენტებზე, რომელნიც ყველა ამა თუ იმ დაწესებულებასა და საწარმოში მუშაობენ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გავრცელებულ იქნეს ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. იანვრის 18-ს დადგენილება „მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შათა ფაკულტეტების უკანასკნელი კურსის მსმენელთათვის სამუშაო დღის შემცირების შესახებ" (კან. და განკ. კრებ. 1926 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 577) მუშათა ფაკულტეტების უკანასკნელი კურსის იმ სტუდენტებზე, რომელნიც ყველა ამა თუ იმ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ საწარმოსა და დადაწესებულებაში მუშაობენ ა/კსფსრ ტერიტორიაზე.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. სექტემბრის 27. ტფილისი-სახახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1289 №-ში 1926 წლის სექტემბრის **30**-ს.

ტფილისი ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხან. პრ. № 91.

8/II შეკ. № 577/. მთავარლიტი № 230. დაიბეჭდა 800.